

ბუმბერაზი

ფრანგულაშვილები მთელ ქვემო იმერეთში განთქმული იყვნენ ძველთა დროთაგან. ხშირათ მათ ვეშაპიძეებსაც ეძახდენ. მართლაც ვეშაპის ძალა ჰქონდათ, ვეშაპივით ჭამდენ და სვამდენ. ომში პირველობას არ სჩემობდენ, ვეებერთელა ხანჯალს კი, რომელიც კამეჩის უღელზე მეტი იყო, ისე ატრიალებდენ, თითქოს სახრეაო.

თავისებურათაც ხმარობდენ იარაღს. მტერი თუ რიგ-რიგათ იდგა, ერთიმეორის უკან, პირდაპირ ჰკრავდენ მუცელში, მკერდში, სულ ერთი იყო ძვალში თუ რბილში, და ორს-სამს წამოაგებდენ ხანჯალზე ან გამოფუშავდენ შესაწვავ გოჭივით. თუ მტერი ერთწყებათ იდგა, მაშინ მარჯვენა ყურიდან მარცხნივ წელამდე გადუქნევდენ: ორს გაკვეთდენ: მესამე ჰაერის ძალით, ხანჯლის ელვარებით, შიშით მიწაზე ინართხებოდა.

ფრანგულაშვილი მარტო ერთი ესწრებოდა ომს. არც მეტი და რც ნაკლები. ასეც უნდა ყოფილიყო, --- ფრანგულაშვილების ოვარი სულ ერთი ოჯახისაგან შესდგებოდა.

ერთი ფრანგულაშვილი ომში დაკეპეს.- ბერი გოგია დიდხანს დაჰყურებდა მიწაზე განართხულს, სისხლით და მტვერით შეთხუპნულს გვამს. ბუტბუტით სთქვა: „ამქვეყნის აღარაა!“ მაგრამ მაინც სინჯა ბედი: ქრისტიანი კაცი მოუვლელათ არ დატოვა, იქნებ ასეთს მეომარს წმინდა გიორგიც შეეწიოსო: გაბანა, პირში ღვინო ჩაასხა: მრავალი ჭრილობა ჰქონდა. ცალ-ცალკე არ ღირდა შეხვევა. ორმოციოდე მილი დაუდვა: მთელს ტანს დააყარა წვრილი ნაწეწი კანაფი და ერთს დიდს ზეწარში გაახვია. მხოლოთ ცხვირის ნესტოები და ტუჩი დაუტოვა თავისუფალი ჰაერის სასუნთქავათ.

ბერი დიდხანს ეცადა ვეებერთელა ხანჯალი ხელიდან გამოერთმია, მაგრამ ვერაფერი გააწყო, სანამ ხანჯლის ტარს ქონი არ წაუსვა და შეკუმშულ თითებში ზეთი არ ჩაუსხა. მხოლოთ მაშინ გამოსხლიტა ხელიდან ხანჯალი და იქვე ქარქაშში ჩაუგო.

- ბიჭო, ეს რა დამმართია! - გაკვირვებით დაიძახა მესამე

დღეს ფრანგულაშვილმა

- დაჭრილი ხარ, შვილო.

- სადა ვარ?

- ჩემთან, სენაკში...

- წყალი...

- ა, შვილო.

- გმადლობ, რამდენი ხანია დამჭრეს?

- სამი დღეა.

- აბა, გამხსენი.

- მე თვითონ ვაპირებდი ეს-ეს არის.

ბერი განცვიფრებას მიეცა, როცა ჭრილობების მაგიერ ოდნავი წითელი ზოლები დაინახა.

- აბა, ისევ მილს გავუკეთებ და შევხვევ, - ჩაილაპარაკა ბერმა.

- არა, წმინდა მამა, მარილი დააყარე, მეტი არაფერი უნდა.
- რას ამბობ, შვილო, აგწვავს, გაგახელებს.
-- არაფერია, მაგას ვერც კი ვიგრძნობ, ისე დავერევი მტერს.
ფრანგულაშვილი ისე წამოდგა ფეხზე, თითქოს ნაწირვებს მო-
ისვენა და ახლა ჯარში სალხინოთ წასასვლელათ ემზადებო.
-- დიდება შენდა, უფალო, -- წამოიძახა ბერმა, -- შეგიქმნია
კლდე ადამიანი და ვერხვის ფოთოლი ადამიანი!

.....
ფრანგულაშვილები დიდხანს ინახავდნენ საარაკო პაპის ზღაპ-
რულს ხანჯალს.

კუთხეში იყო მიყუდებული და კაი ვაჟკაცი უნდოდა, ქარქაში-
დან ამოეღო. ფრანგულაშვილებს რომ წმინდა ფოლადის სახნისი.
თოხი, ბარი, სასხლავი, წალდი და ნაჯახი აჭვთ ახლა, იმ ხანჯლი-
დანაა ყველა გადამდნარი.

.....
ფრანგულაშვილები შემდეგ გამრავლდნენ.
ერთი ფრანგულაშვილი გაღარიბდა. საჭმელიც კი არ ჰქონდა.
საკმაოთ. ნათქვამია, "მუცელს აქორებ -- ქორია და აღორებ --- ლო-
რიაო". ღარიბი ფრანგულაშვილიც ცოტას ჭამდა, ბევრს კი მუშა-
ობდა.

ერთხელ ცოლს უთხრა: თორმეტი კაცის სადილი დამიმზადე, რაც
საღალო მიწა მაქვს, ყველა ერთად უნდა გავთოხნო, მერე ტყეში
წავალ, იქნებ, ცოტა რამ ფული ვიშოვო.

ქალმა დაამზადა სადილი და ყანაში წაუღო.

-- სადაა, კაცო, ნადი?

-- ეს-ეს არის მუშაობა მივატოვეთ, აქეთ-იქით წავიდენ, კარგი
ვახშამი გაგვიკეთე?

- დალოცა ღმერთმა, ქე უმუშავნიათ მუყაითათ, -- თქვა ქალმა
და წავიდა.

სალამოს კაცი მარტო დაბრუნდა სახლში.

--- სხვები სად არიან? --- დაეკითხა ქალი.

-- დაალაგე სუფრაზე ყველაფერი, მოვლენ!

ქალმა სუფრა დადგა აივანზე, რაც რამ ჰქონდა გამოიტანა.

ქმარი დაჯდა.

--- დიდება ღმერთსა, ღმერთმა გაუმარჯოს გლახუა ფრანგულა-
შვილს, მის ცოლს სიდონიას, -- დაილოცა და დალია პირველი დოქი
ძუა ღვინო*.

-- რას შვრები, კაცო, არ მოუცდი ნადს?

ჭახრაკში გატარებულ ჭაჭას წყალს დაასხაამენ. აქედან გამოსულ წყალნა-
რევ ღვინოს შუადღინოს ემახიან. (ავტორის შენიშვნა).

-- სადაური ნადი. რა ნადი, ქალო! ნადიც მე ვარ და მასპინძე-
ლიც, თუ რამე შეგიძლია. გამიმასპინძლდი.

--- უი, თვალეები კი დამიდგა! -- შემოიკრა სიდონიამ ხელი ლო-
ყაზე, -- კაცო, ღმერთი არ არის, ორი ბატი მყავდა, იმის იმედი მქონ-

და, და დავკალი... ბათმანი ფქვილი ვისესხე...

- ნუ დამიწყებ ახლა ლუკმის ანგარიშს. მუშაობით თორმეტ კაცზე მეტი გავაკეთე და შენ ბატებს თორმეტი უცხო კაცი შეჭამს, თუ მე შევჭამ, რა გენადვლება.

-- უი, უი, ჩემი ცოდვა, რა ყოფილხარ, დამიდგა თვალები!

.....
დიდი მეზატონის სამზარეულოში დარბიან ფარეშები. ილანძღე-ბიან მზარეულები. მოურავი ბრძანებლობს.

- აქენი ცხვარი, რას ზოზინობ, ვირის შვილო!

- ბიჭო, ნუ მოუნდი ჭამას, წაილე ღომი!

- სუფრა-ყასუმი მეიტა აქ!

-- გადააბრუნე, ჰო, ნუ გეძინება.

-- ლენგერი! ლენგერი!

- ბატონო, კულოს თხოულობს!

-- სადაა ჩაფი, ცარიელი ჩაფი. ოჯალეში უნდა ამევიღო და ვერც ერთი ვერ ვიშოვე. ოჯახდაქცეულებს მწვანეთ გაუვსიათ ყველა.

--- გაცალე, ბიჭო, ქვაბში: მერე ჩვენ დავლევთ.

-- ამაში ბეჭია, აქ ღომის ქერქი ჩარჩენილა, აქ ხარშო, დამაგვიანდება და ბატონი მომკლავს. გადავასხამ ამ ტიალს!

--- მეიტა, ძამია, აქ მაგ ჩაფი, მე გაგიცლი ამწაშში.

-- აბა, თუ ძმა ხარ, მემეხმარე... ბიჭოს, რას შვება ეს კაცი?

სვამ, ძმაო? ვერ გამოცლი! იმე! შენი მტერია, გამოცალა. ბარაქალა! -- ფარეშმა დაატანა ცარიელ ჩაფს ხელი და საჭურესკენ გაიქცა.

- შენ ვინ ხარ, ძმობილო? -- დაეკითხა მოურავი უცნობს.

-- გლახუა ფრანგულაშვილი გახლავარ: ბატონთან წერილი მიაქვს, წყალობა მიქენი, მიართვი.

-- კარგი. ძმაო, ძაან სმა კი გცოდნია, ბატონი არ მომიკვდეს! დაბრძანდი, სადილი მიირთვი და ამასობაში ბატონიც პასუხს მოგცემს.

-- გმადლობ, ბატონო. შორი გზა მაქ და ნუ დამაგვიანებ.

- ახლავე.

.....

-- ბარათი მოგართვეს, ბატონო.

-- მოიტა!.. რა დეემართა ამ ჩემ მოყვარე კაცს, რომ ერთ ჭვირთ თივას მთხოვს? მოურავო!

-- ბატონო, შენი ჭირიმე!

-- კარგათ გაუმასპინძლდი ამ ბარათის მომტანს, დააღვეინე მერე საუკეთესო ზვინიდან თივა მიეცი, რაც კი წაიღოს.

-- თქვენი ნებაა, ბატონო.

-- ბატონო, შენი ჭირიმე, იმ ბიჭს ჭვირთი კი არა, მთელი ზვინი მიაქვს.

-- ხუმრობ თუ?

-- შენი რისხვა არ მომეცეს! ქალბატონის ცხენისთვის განგე-
ბისათ ცალკე ზვინი მედგა. იმას შემოახვია ბაწარი და შეანძრია.
გავაჩერეთ. ახლა რავაც მიბრძანებთ.

-- ბიჭო, ვინ ეშმაკია?

-- აი, დასწყევლა ღმერთმა ვინცხაა! ჯერ ერთი ჩაფი ღვინო
სულმოუთქმელათ დაცალა, მერე ვრთი გოჭი, თორმეტი ჭადი, მისი
ლომით, შექამა. სხვა, როგორც სხვებმა, ძროხის ხორცი, პური
მიაყოლა, და, რომ ადგა, ერთი ჩაფი ღვინო კიდევ დალია, ბატონი
უნდა დავილოცოვო.

-- მიეცი, ძმაო, მიეცი, შემახედე, რას ეგვანება ზურგზე ზვინ-
გადებული კაცი, წეილებს კი?

-- წეილებს, შენი მტერი წაღებულა ისე!

.....

სტუმარი და მასპინძელი, ქალი და კაცი, მსახური და ბატონე-
ბი გამოვიდნენ საკვირველების სანახავათ.

ფრანგულაშვილმა კარგათ მოარყია ზვინი, მერე ზურგით მი-
ადგა, გულ-მკერდზე ჯვარედინათ გადიხლართა ბაწარი, რომლი-
თაც ზვინი იყო შეკრული, წაიღუნა და... ზვინი დაადგა გზას. ადა-
მიანი არ მოსჩანდა.

მასპინძელმა ვერ მოითმინა მიაძახა ფრანგულაშვილს:

- შენს პატრონს უთხარი ჩემს მაგიერ, სახლში არ დაგაყენოს,
შენ დაუმსებ, ძმაო, ოჯახს.

-- ვეტყვი, ბატონო! -- დაიძახა ზვინმა.

ასეთი იყვნენ ფრანგულაშვილები, ზოგჯერ ვეშაპიძეებათ წო-
დებულნი.